



შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის

ბრძანება №1/08

ქ. თბილისი

06.04.2017 წ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამის მოდულის განმახორციელებელ პირთა ადგილის დაკავებასთან დაკავშირებით ვაკანსიის გამოცხადების შესახებ

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდების და "მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის" საფუძველზე

### ვბრძანებ:

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში გამოცხადდეს ვაკანსია დანართი 1-ში აღნიშნული მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის ვაკანტური ადგილის დაკავებასთან დაკავშირებით;
- მოდულის განმახორციელებელი პირებისათვის წაყენებული მოთხოვნებია:
  - უმალესი განათლება შესაბამის სპეციალობაში;
  - პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ან მათთან გათანაბრებული პირები;
  - ან სპეციალობით მუშაობის მინიმუმ სამი წლის გამოცდილება;
- შერჩევა ჩატარდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე;
- მოდულის განმახორციელებელი პირი არის პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- შრომითი/მომსახურეობის ხელშეკრულების გასაფორმებლად პირმა უნდა წარმოადგინოს:
  - წერილობითი განცხადება;
  - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ავტობიოგრაფია (CV);
  - ერთი ფოტო სურათი ფორმით 3X4;
  - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში).
- საბუთების მიღება იწარმოებს აკადემიის კანცელარიაში 2017 წლის 06 აპრილიდან 14 აპრილამდე ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერონისის #208;
- ბრძანება განთავსდეს დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კ/მ, №6).
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის  
რექტორი

/ს. მაჭარაშვილი/

